

„თქვენი მთავრობის უკეთესი წარმართვის საფუძვლის საფუძვლის... თქვენი სახელმწიფო, რთვად ჩანს, თქვენი თუ თქვენი დახმავანი, ხარისხი-ხარისხიანი დახმავანი, რომ მოგვით დახმავანი...“

# ხობის მოამბე

№14-15 (7056-57) \* 26 ივლისი, სამშაბათი \* 2011 წელი, შპსი 1 ლარი

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტს, მეუფე ბრიგოლს!

თქვენო მალაღუსამღვდელოესობაჲ! მეუფეო ბრიგოლ!



„მწამს, რომ ეს ტაძრები, ძალიან ბევრი აღამიანისათვის იქნება ცოდვის გამწმენდი ოკეანეში ერთ-ერთი პატარა კუნძული, რომელზედაც თუ აღამიანი შეაღწევს, აუცილებლად გადარჩება.“

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე ბრიგოლი ამ ტაძრებში სულის გადასარჩენად მისული მრევლისათვის თავადაა უდიდესი იმედი და სიმშვიდე, რამეთუ უფლის სახელით აღვლენილი ღოცვა ნუგეშია სულისთვის, რწმენა დღევანდლობის და იმედი მომავლისა.

წინაპართა ნაგებ ეკლესია-მონასტრებს, ხობში ბოლო წლებში კიდევ რამდენიმე სალოცავი შეემატა. ეს შენება კიდევ ერთხელ მიუთითებს ეპარქიის მიტროპოლიტის ყოველდღიურ ღვაწლზე ერისა და ბერის წინაშე.

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრიობის, მრევლის სახელით ვულოცავთ ეპარქიის მესაჭესა და სიხარულსა თუ განსაცდელში ზოგელთა თანამდგომს, მეუფე ბრიგოლს, ამქვეყნად მოვლენიდან 55-ე წლის თავს, მაღლის განვრცობისა და ქრისტესმიერი სიფიქარულის განფენისათვის, მრავალი წლის სიცოცხლეს ვუსურვებთ ერისა და მამულის საკეთილდღეოდ და იმ დიდებული ღოცვის აღსასრულელად, რომელსაც „საქართველოს დიდება“ ჰქვია.

**მაგაუა ჭორონელიძე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

**ივორ ტყეშელაშვილი, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი**

## წინასაარჩევნო შეხვედრა



15 ივლისს ხობის სამუშაო ვიზიტით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი და საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები ეწვივნენ. შეხვედრაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი, საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და მედიასამუშაოელები მონაწილეობდნენ. შეხვედრა გახსნა საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მინდია ლომაიამ. მან იქ დამსწრე საზოგადოებას განუმარტა ცსკოს თავმჯდომარის ჩამოსვლის არსი. ბატონმა ზურაბმა შეხვედრაზე წარმოგიდგინა ანგარიში თუ რას აკეთებდა ცსკო არჩევნებიდან 12 თვის განმავლობაში და როგორ ემზადება ის მომავალი არჩევნებისათვის. ცსკოს მიზანია, მომავალი სამი წლის განმავლობაში ჩასატარებელი ოთხი არჩევნები კარგად იყოს მომზადებული და ორგანიზებული. ყველა მხარეს გააჩნდეს რესურსები მოახდინოს ზედამხედველობა და მონიტორინგი საარჩევნო პროცესებზე. ზარბაზნაძემ ახალ ინიციატივებზეც ისაუბრა, კერძოდ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო სისტემის განვითარების

წაკვლი პროგრამას, რომელშიც უმაღლესი სასწავლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. ისინი გაივლიან კურსს საარჩევნო საკითხების შესახებ, გაეცნობიან საარჩევნო მუშაობის პრინციპებს და სრულ ინფორმაციას მიიღებენ საქართველოში არსებული საარჩევნო სისტემის შესახებ.

2010 წელს იგივე მეორადღობის გაფორმების საფუძველზე 14 უმაღლესი სასწავლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა საარჩევნო სამართლის კურსი გაიარეს. ცსკო-ში სპეციალურად მათთვის შეიქმნა ე.წ. „იურიდიული კლინიკა“.

ასევე საუბარი იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ცენტრალური საარჩევნო კომისიის დახმარებითა და საქართველოს მთავრობის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელებულ „BRIDGE“-ის პროგრამაზე, რაც არჩევნების ყველა ასპექტს მოიცავს და საფუძველად უდევს საარჩევნო აქტივობაზე ორიენტირებული სწავლების სპეციფიკური მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მონაწილეთა შენარჩუნების განვითარებასა და პროფესიონალიზმის ამაღლებას.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, მთელი ენერჯია და რესურსები რევიზიონებზეა კონცენტრირებული, ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდება საგარანტო პროგრამები აქტიურ ამომრჩეველთა სამოქალაქო აქტივობის გასაზრდელად, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მედიასამუშაოელების მომზადებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას.

შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. იქ დამსწრე საზოგადოების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გაეცა.

**ნიმე ბერბაია**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებები**

7-18



**თქვენი „რეიხები“**

21

**ბეგბე და ვტყუთ?**

5

**სოფიანი „ვატარა ნახანი დიდ მუსას ნააქმანს“**

19

**„და მაინც... ვისურვებდი, ხვალ ბადნიარი დღე გავვითანდას!..“**

5

**იურიდიული კონსულტაცია**

6

**დავისაგაჩივებისა და ქუჩებისთვის სახელწოდებების მიწიჭების პროცესი 2008 წლიდან დაიწყო**

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საზოგადოებას სთავაზობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადასაჭრელი ერთ-ერთი პრობლემის შესახებ, რომელიც შეეხება ქ. ხობისა და მუნიციპალიტეტის სოფლებში ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ნორმალიზებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ქუჩებისა და მოედნების სახელდების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს-საკრებულოს, ხოლო ამ სფეროს რეგულირების პროცესში განასხორციელებული პროცედურები რეგულირდება „გეოგრაფიული ობიექტების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნაა გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების წინასწარ შეთანხმება გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიისათვის.

სამთავრობო კომისიის თვის საბოლოო, შემუშავებული მასალების წარსადგენად, თავისთავად, მეტად შრომატევადი სამუშაოება განასხორციელებული, რათა გათვალისწინებულ იქნეს როგორც ობიექტების ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ტოპონიმიკური თავისებურებები,

ასევე მუნიციპალიტეტის საზოგადოების ინტერესები და მოთხოვნები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს არაერთხელ ექნებოდა შეხება არამართო საკუთარი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართის, არამედ სხვა ობიექტის ნომრისა და თვით ქუჩების სახელწოდებების დადგენასთან, რაც, დაგეგმვითანხმებით, ხშირად გაურკვევლობას იწვევდა. ასევე, ადგილი აქვს შეცდომებსა და აღრევებს, რაც ხშირ შემთხვევებში დაფიქსირებულია მოქალაქეთა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობებშიც არათუ მუნიციპალიტეტის სოფლების, არამედ, თვით ქალაქის მცხოვრებთა შორისაც, სადაც შედარებით მოწესრიგებულია.

3

### საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი დიპლომატიური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ალექსანდრე ლომაია წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დაჯილდოვა.



საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი დიპლომატიური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ალექსანდრე ლომაია წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დაჯილდოვა.

სახელი და რომელმაც შეუქცევად შეცვალა ჩვენი ცხოვრება უკეთესობისკენ.

მისი გამოცდილებიდან გამოვყოფდი განათლების მინისტრობის პერიოდს—იგი იყო ბრწყინვალე მინისტრი, რადგან განათლების სისტემაში სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა ბევრი რეფორმა. მათ შორის, უპირველესია ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელიც საქართველოში ამ დღეებშიც მიმდინარეობს. ამ ცვლილების წყალობით, მთლიანად ამოტრიალდა და დასამარდა კორუპციული სისტემა, რომელიც საზღვრებსა და რამდენიმე ასეული ან ათასი ადამიანი და რომელიც სამუდამოდ უკარგავდა ქართველ ახალგაზრდებს შრომითა და სწავლით სამართლიანობისა და წარმატების მიღწევის იმედს.

ჩვენთან მთავარი კორუფცია იყო არა პოლიციაში, რომელიც, თავის მხრივ, ძალზე კორუმპირებული იყო, არა ზოგადად სახელმწიფო აპარატში, არამედ სწორედ განათლების სისტემაში. ამის გამო ბევრ ჩვენს თანამემამულეს, ბევრ ქართველს მოუხდა საქართველოს დატოვება.

ალექსანდრე ლომაიამ შეუქცევად შეცვალა ამ სისტემაში არსებული ვითარება.

ეს მართლაც კეთილშობილური ქმედებაა და ჩემთვის დიდი პატივია, განსაკუთრებული დამსახურებისთვის საქართველოს დღევანდელი მთავარი მომავლის წინაშე, მას წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადავცე.

„ინტერპრესნიუსი“

### გიგა ბოკერია — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფლების სერვილს, კოლიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და დახმარების მიზნად

ჩვენ არ გვიკვირს, რომ რუსული სპეცსამსახურები აქტიურად ცდილობენ, იმუშაონ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მით უმეტეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ეს სამწუხარო რეალობაა,—აცხადებს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია „ავანიუკთან“ ინტერვიუში.

უურნალისტ ოლეგ ალიონოვას კითხვას, ხომ არ ფიქრობს, რომ ჯაშუშობაში ფოტორეპორტიორების დადანაშაულება მეტისმეტია და საზოგადოება ამგვარი ისტორიებით დაიღალა, გიგა ბოკერია პასუხობს, რომ ეს ფაქტი მისთვისაც უსიამოვნოა, რადგან ფოტორეპორტიორებს პირადად იცნობდა.

„იმ ადამიანებს, რომლებსაც პირადად კარგად ვიცნობდი, ბრალი წაეყენათ და არიან თუ არა ისინი დამანაშაულები, ამას სასამართლო გადაწყვეტს. ორი მათგანი სახელმწიფო მოსამსახურე იყო. აქედან

ერთი—პრეზიდენტის უახლოესი ადამიანი, მისი პირადი ფოტოკორესპონდენტი, რომელიც მასთან დიდ დროს ატარებდა. ჩვენ მას ყველა ვიცნობდით, ყოველთვის გვქონდა პირადი ურთიერთობა, ამიტომ ეს ფაქტი ძალიან უსიამოვნოა“,—აცხადებს ბოკერია.

უურნალისტის კიდევ ერთი კითხვა ასეთია—არ გეშინიათ, რომ საქართველო წარმოჩინდება ქვეყნად, სადაც სიტყვის თავისუფლება იზღუდება?

გიგა ბოკერია ამბობს, რომ ისინი იყვნენ ფოტორეპორტიორები, რომლებიც ხელისუფლებისთვის მუშაობდნენ.

უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, გამოიცხადეს საქართველოს ხელისუფლების სურვილი, პოლიტიკური შეხედულებების გამო ვინმე ჯაშუშობაში დაადასაშულოს.

„ახლა არის რაღაც ახალი თეორია, რომელიც ჩვენს მედიაში განიხილება, რომ მათ გადაიღეს 26



მისის ღამეს ფოტოები. ძნელია, ამგვარი პიპოთუზა სერიოზულად განიხილო. იმ დღეს ათასობით ფოტო გადაიღეს, იქ ათობით ფოტორეპორტიორი მუშაობდა. ამ კონკრეტულ საკითხზეც არ ვაპირებ კამათს, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ჯაშუშური ქსელების შექმნას რუსული რესურსების დიდი ნაწილი ხმარდება“,—აღნიშნავს გიგა ბოკერია და დასძენს, რომ გასაკვირი ამასი არაფერია.

„ინტერპრესნიუსი“

### ბრიტოლ ვაშაძე—რას შეეხება ზოგიერთ ე.წ. ჩვენი მასმედიის, პრესის რეაქციას, პატივს უკმაყოფილო ვარ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ფოტორეპორტიორების დაკავებაზე ქართველი უურნალისტების რეაქციით უკმაყოფილოა. ამის შესახებ გრიგოლ ვაშაძემ დიპლომატიური კორპუსისა და ხელისუფლების მიმართ პრესის ასოციაციის მიმართვის კომენტარებისას განაცხადა.

„რაც შეეხება ე.წ. ზოგიერთი ჩვენი მასმედიის, პრესის რეაქციას, ძალიან უკმაყოფილო ვარ, რადგან იმდენი სრულიად უსაფუძვლო კითხვებს, მაგალითად, ჰქონდათ თუ არა მათ ინფორმაციასთან დაშვება, თითქოს, ჯაშუშში მხოლოდ იქ მოქმედებდეს, სადაც დაშვება აქვს“,—განაცხადა ვაშაძემ.

მისივე თქმით, ფოტორეპორტიორების საქმეში არსებობს უმძიმესი მტკიცებულებები,

რომლებიც წარედგინება სასამართლოს“. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ დაკავებულებმა უკვე მისცეს აღიარებითი ჩვენებები.

„მაინტერესებს, მოუხდინ თუ არა უურნალისტები ბოდიშს სამართალდამცველებს, როცა სასამართლოში გამოაშკარავდება ყველა ის მტკიცებულება, რომელიც საქმეში არსებობს“,—განაცხადა ვაშაძემ.

საქართველოს პრესის ასოციაციამ დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო უურნალისტური გაერთიანებების, საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების სახელზე მიმართვა გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხელმძღვრები მომხდარს აღვიქვამენ, როგორც შურისძიებას და დევნას სიმართლის ასახვისათვის.

აქვე დაფიქსირებულია მო-



ვლდება, არ მოადუნონ ყურადღება ამ საქმესთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლებას კი მიმართვის აქტივობები მოუწოდებენ, გაითვალისწინოს უურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების წერილობითი შუამდგომლობა—თავდებით გაათავისუფლოს გია აბდლაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკი და საჯარო განხილვის საქმის მასალები.

„ინტერპრესნიუსი“

### დავით ბაქრაძე—სანამ ეს კოლიტიკური კალა ხელისუფლები იქნება, კონკრეტული არ გადაიხედება

პარლამენტი თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის მტკიცებით, სანამ არსებული ხელისუფლება ქვეყნის სათავეშია, ქართულ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმება არ გადაიხედება და მართლმადიდებელი ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი ექნება.



როგორც დავით ბაქრაძემ პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, საქართველოში არსებობს ძირითადი ფუნდამენტური ღირებულება—ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი აქვს ქართულ სახელმწიფოში და ეს ასე იქნება მანამდე, სანამ „ეს პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში იქნება“.

მისი თქმით, ამ კონსტიტუციური შეთანხმების გადახედვა არანაირი ფორმით არ მოხდება.

ბაქრაძემ ასევე აღნიშნა, რომ „სამოქალაქო კოდექსში“ შესული ცვლილებები ქონებრივ ვალდებულებებს არ შეიცავს და ქონების საკითხის ამ ინიციატივაზე ავტომატურად მიიბმა დაუშვებელია.

მისი თქმით, საკონსტიტუციო შეთანხმებით საეკლესიო ქონების განკარგვა გადაცემული აქვს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიას.

„ეს არის თემა, სადაც ეკლესიას პოზიცია იქნება განმსაზღვრელი“,—დასძინა ბაქრაძემ.

„ინტერპრესნიუსი“

### მედიის ფართოდასუტახიანი მონიტორინგი დაიწყო

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა შეხვედრა, რომლის მსვლელობაშიც არასამთავრობო ორგანიზაციები მონიტორინგის თემებსა და მეთოდოლოგიას წარადგინეს.

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივით საქართველოს მედიის ფართომასშტაბიანი მონიტორინგი დაიწყო, რომლის დეტალებიც გახდება ცნობილი. ცენტრალური და რეგიონული პრესისა და მასშვებლობის მონიტორინგს შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს.

მედიის მონიტორინგი სოციალური და ეკონომიკური საკითხების მთელ რიგს მოიცავს. მონიტორინგის შედეგები ოქტომბერში იქნება ცნობილი.

შეხვედრას საქართველოს მედიის, სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებან.

„ჰი-პირ-პეი“

### გაერო: ალიმბის ცვლილება მსოფლიო უსაფრთხოების მთავარი საფრთხეა მთავარი საფრთხეა მთავარი საფრთხეა მთავარი საფრთხეა

კლიმატის ცვლილების პრობლემა მომავალში მსოფლიო უსაფრთხოების მთავარ საფრთხედ განხილვა, ამის შესახებ გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ხელმძღვანელმა აჩიმ შტაინერმა განაცხადა.

მისი თქმით, კლიმატის ცვლილება იწვევს, სტიქიური უბედურებების ზრდას, რომლის მაგალითიც მსოფლიოში უამრავია. კლიმატის ცვლილების საკითხი, გაეროს უშიშროების სხდომაზე იქნება განხილული, თუმცა რუსეთი გაეროს წევრებს მოუწოდებს, არ მოხდეს ამ საკითხის პოლიტიზირება. მისი პოზიციას მხარს უჭერენ რიგი განვითარებადი ქვეყნები. ექსპერტები აცხადებენ, რომ სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის კლიმატის დაბინძურების მნიშვნელოვანი პროცენტული მაჩვენებელი.

„ჰი-პირ-პეი“



გებულია ქუჩების სახელწოდებებისა და ნუმერაციის საკითხი. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქუჩების სახელწოდებათა დადგენისა და ქუჩების ნუმერაციის მოწესრიგების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჯერ კიდევ 2008 წლის სექტემბერში შეიქმნა სახელდებისა და ნომერაციის საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა ჭოხონელიძის თავმჯდომარეობით, ხოლო 2009 წლის სექტემბერში-ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის რევაზ წულაიას თავმჯდომარეობით.

დროებითი სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტდა შესაბამისად 7 და 9 წევრის შემადგენლობით და მათ მუშაობაში მონაწილეობდნენ საკრებულოს წევრები: მანანა შულაია, გიგლა ჩიტაია, გივი შენგელია, გრიგოლ იობაძე, მანანა დოლაბაძე, მერი ლაგვილაია, ვლადიმერ ქანთარია, მოგელი ხუხია. ორივე შემთხვევაში, დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულიქნა საკრებულოს წევრი, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მანანა შულაია, რომელსაც დაეკავალა ჯგუფის საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის მიერ გაცემული დავალებების შესრულებაზე კონტროლი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფები იქმნება არაუმეტეს სამი თვის ვადით, რაც ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად არასაკმარისი დროა, მაგრამ საკრებულოში შექმნილმა დროებითმა სამუშაო ჯგუფებმა შეტად შრომატევადი სამუშაოები შეასრულა.

2008 წელს შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი, გარდა ქუჩების სახელწოდებების მოწესრიგებისა, ასევე, შეისწავლიდა და ადგენდა თვითმმართველი ერთეულის მიმართულებით შემოღების მიზნით განსახორციელებელ სამუშაოებს, რომლის შედეგადაც, შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და საზოგადოებისგან მიღებული წინადადებების საფუძველზე, შემუშავდა შესაბამისი ნიმუშები და 2010 წლის დეკემბერში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა ხობის მუნიციპალიტეტის გერბი და დროცა.

რაც შეეხება ქუჩებისა და მოედნების სახელდების კუთხით დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობას, ჯგუფის მიერ შემუშავებული დებულებით, რომელიც დამტკიცდა საკრებულოს ბიუროს მიერ, განისაზღვრა ჯგუფის მუშაობის წესი, ხოლო ჯგუფის სამუშაო გეგმით, რომელიც, ასევე, დამტკიცდა საკრებულოს ბიუროს მიერ, განისაზღვრა ის სამუშაოები, რომლებიც უნდა განხორციელებინა ჯგუფს სამი თვის განმავლობაში, კონკრეტული ვადების მითითებით. დროებითი სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმა მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების სახელდების მინიჭების თაობაზე ძველი მასალების მოძიება არქივიდან: ქ. ხობში და სოფლებში არსებული ქუჩების და მასზე მცხოვრებ კომლთა აღსარიცხად ფორმის შემუშავება; შეხვედრების მოწყობა გამგეობის რწმუნებულებთან და მათი აქტიური ჩართვა ჯგუფის მუშაობაში; პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუა-

ლებების გამოყენებით ჯგუფის მუშაობის შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება; მოსახლეობიდან შემოსული წერილების განხილვა; ჯგუფის მუშაობაში საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა, მათი აზრის, წინადადებების, შენიშვნების აღრიცხვა, სხდომებზე მათი განხილვა; მუნიციპალიტეტში შემავალი ტერიტორიული ერთეულების თემატური რუკების მომზადება; ქუჩებისა და მოედნების სახელდებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების განხილვა და ქუჩებისა და მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის მარეგულირებელი ნორმების განსაზღვრა შესაბამისი წესის შესამუშავებლად; ქუჩებისა და მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის წესის დასადგენად დადგენილების პროექტის მომზადება; შემუშავებული წინადადებებისა და შემოსული განცხადებების საფუძველზე, ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებების მისანიჭებლად შესაბამისი პროექტების მომზადება; საკრებულოს სხდომისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შესახებ ანგარიშის მომზადება.

რებულოს სახელდებისა და ნომერაციის საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის 2008 წლის 9 ოქტომბრის სხდომის 1 ოქმიდან. ამდენად, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანს თავიდანვე წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდის შემორჩენილი ქუჩების სახელწოდებების შეცვლა, დროთა განმავლობაში სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, არამიზანშეწონილი სახელდების გადარქმევა და უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭება.

დროებითი სამუშაო ჯგუფების მიერ მოწვეულიქნენ და მათ მუშაობაში აქტიურად ჩაერთვნენ საკრებულოს მაჟორიტარი წევრები და გამგეობის რწმუნებულები. მათ მიეცათ დავალებები და თითოეული ადმინისტრაციული ერთეულისთვის შედგა დასახლებებში არსებული ქუჩების სქემატური ნახაზები, საკარაულოდ, მისანიჭებელი სახელწოდებების მითითებით. ასევე, საკომლო წიგნების გამოყენებითა და ადგილზე გასული ჯგუფების მეშვეობით, შედგა ქუჩების განლაგების მიხედვით მათზე მცხოვრებ კომლთა და განთავსებულ ობიექტთა (საცხოვრებელი და არასაცხოვ-

ნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ამ დროისთვის საქართველოს ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი და შესაძლებელია მისი განხილვის დაწყება.

გასულ წლებში გაწეული სამუშაოების შედეგად, საკრებულოში დიდი მოცულობის დოკუმენტაცია დაგროვდა, რაც უკვე საშუალებას იძლეოდა აღნიშნული საკითხის განხილვის პროცესი საბოლოო გადაწყვეტილებამდე იქნეს მიყვანილი. ამ მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის სამუშაო გეგმაში, რომელიც 2010 წლის დეკემბერში დამტკიცებული, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდებისა და მათთვის ნუმერაციის მინიჭების საკითხიც.

აქვე გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ გარდა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების

სახელდების, საიდანაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება კონკრეტული მისამართების, მათი არსებობისა თუ არარსებობის შესახებ. პრობლემა, რომელიც დამისამართებს შეეხება, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. პროექტი მიზნად ისახავს, განისაზღვროს ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მისამართების რეესტრის წარმოებაზე და, დადგინდეს სხვადასხვა დაინტერესებულ დაწესებულებებს შორის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის სისტემა. ამ პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდება, საჯარო დაწესებულებების საჭიროებების დადგენა მისამართების სისტემასთან მიმართებაში, საერთო ანალიზის გაკეთება და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნულ პროექტს მისი პრეზენტაციისას „საუკუნის პროექტი“ უწოდა. მისი თქმით, დამისამართების პროექტი არის საქართველოში არსებული ყველაზე მასშტაბური და უპრეცედენტო პროექტი: „საქართველოში დამისამართების კუთხით ძალიან დიდი პრობლემა არსებობს. ჩვენ საბჭოური დემკრატია გვერგო-სახელმწიფოში არასწორი მისამართების მინიჭების კუთხით: ქალაქებში ზოგიერთ კორპუსს არ აქვს მისამართი, სოფლებში კი საერთოდ არ არსებობს მისამართები. ეს პროექტი მიზნად ისახავს ამგვარი პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებას. დონორ ორგანიზაციებს ვთხოვთ შეძლევთ ეტაპის დაფინანსებას. დამისამართების პროექტის შემდეგი ეტაპი გუ-

### დამისამართებისა და ქუჩების სახელწოდებების მინიჭების პროცესი 2008 წლიდან დაიწყო

პირველივე დროებითი სამუშაო ჯგუფის პირველსავე სხდომაზე გაიმართა მსჯელობა სამუშაო ჯგუფის მუშაობის ორგანიზაციულ მხარეებზე და ჯგუფის თავმჯდომარემ (მ. ჭოხონელიძე) დეტალურად გააცნო ჯგუფის წევრებს ჯგუფის სტრუქტურა, კომპეტენცია, უფლებამოსილება, მოვალეობა, რაც შემდგომ აისახა სამუშაო ჯგუფის დებულებაში და სამუშაო გეგმაში. ხაზი გაესვა ჯგუფის მიერ შესამუშავებელი და საკრებულოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც უნდა ეკისრა სამუშაო ჯგუფს. დროებით სამუშაო ჯგუფს უნდა მოეხდინა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხის უზრუნველყოფა, მათი აზრის გათვალისწინება, და და გამჭვირვალე მუშაობის ფორმების გამოყენება: „ჯერ კიდევ არის ქალაქში საბჭოთა ეპოქის მიღებული სახელდების რამდენიმე ქუჩა. თქვენ წარმოიდგინეთ, დღევანდელ საქართველოში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წევრადგელთ, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, ვაწესებისა და მობილიზაციის სამსახურის მისამართთა ბერიას ქუჩა, ხოლო რაიონული გახვითის ადგილმდებარეობად მითითებულია სტალინის ქუჩა. ახლად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა უმოკლეს ვადაში უნდა მოამზადოს წინადადებები აღნიშნული ქუჩების სახელწოდებების შეცვლასთან დაკავშირებით. ჭეშმარიტ მამულიშვილთა სახელების ნაკლებობა ნამდვილად არ გვაქვს, ამ ქუჩების სახელები რომ შეიცვალოს. ამასთან, საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 8 დეკემბრის 3935 დადგენილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაეკალათ 2008 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოთ შესაბამისი სამთავრობო კომისიისთან შეთანხმებით იმ დასახლებული ობიექტების სახელების შეცვლა, რომლებიც სრულ დისკრძინიას ქმნის ქართული სახელმწიფოს ტრადიციებთან და დღევანდელბასთან“-მ. ჭოხონელიძე (ამონაწერი ხობის მუნიციპალიტეტის საკ-

რებელი) ჩამონათვალად, ქუჩის თითოეულ მხარეს მისანიჭებელი კენტი და ლუწი ნომრების თანმიმდევრული მითითებით.

ჯგუფის წევრებს არაერთხელ სატელეფონო თუ პირადი კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან და სპეციალისტებთან ჰქონდათ. ასევე, საკრებულოს წარმომადგენელი მივიღინებულქნა თბილისში სპეციალური დავალებებით. მომზადდა და გაიგზავნა შეკითხვის წერილები საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმირების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიაში.

ჯგუფის მიერ შეგროვდა გამგეობის რწმუნებულებისა და მოსახლეობიდან შემოსული წინადადებები და, მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე, პირველ ეტაპზე მომზადდა პროექტები ზოგიერთი ქუჩისთვის სახელების მინიჭების (ვადარქმევის) თაობაზე, რომლის შემდგომაც, საკრებულოს გადაწყვეტილებით, სოფელ პირველ მაისში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მედია ნაჭყებია სახელი, ხოლო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა უკვდავსაყოფად მათი სახელები მინიჭდა ქუჩებსა და სპორტულ მოედნებს: ქ. ხობში-მიხეილ იოსავასა და დათა ხურცილაიას სახელები, სოფელ ხეთაში-ლევან ტურავას და გიორგი შიბანავას სახელები, სოფელ ქვემო ქვალონში-გოგიატა ქარჩავას სახელი, სოფელ ახალ ხიბულაში-რამაზ კიტიას სახელი, სოფელ შუა ხორგაში-ზვიად დათუაშვილის სახელი, სოფელ პირველ ხორგაში-გოგა ბერაიას სახელი. ჯგუფის მიერ, ასევე, შემუშავდა დადგენილების პროექტი „ხობის მუ-



სახელდების სფეროში არსებული პრობლემებისა, ანალოგიური მდგომარეობა საქართველოს თითქმის მთელი მასშტაბით, რის გამოც, 2010 წლის 10 ივნისს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე მოწონებულიქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი დამისამართების კონცეფცია და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება, კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს მასშტაბით დამისამართების პროცესს, ხოლო საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაეკავალა დამისამართების კონცეფციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გაცნობა, დამისამართების პროცესში ჩართული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობისა და კონცეფციის ადგილზე იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობა.

პროექტი „დამისამართების სისტემის განვითარება საქართველოში“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით სორციელდება. პროექტის მთავარი დონორია შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA). ცნობისთვის, ქვეყანაში არ არსებობს რაიმე მონაცემთა ბაზა, ან კომპეტენტური საჯარო დაწე-

ლისხმობს შენობებისთვის მისამართების ხელახლა მინიჭებას, თითოეული სახლისთვის კონკრეტული, უნიკალური ნომრის მინიჭებას, რომლითაც ამ შენობის იდენტიფიკაცია მოხდება.“-განაცხადა გ. ვაშაძემ.

ამ დროისთვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ განხორციელდა სოფლების-გურიფულის, პირველი ხორგისა და ყულევის დამისამართება, კერძოდ: ქუჩების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების დანომვრა, მისამართების რეესტრისა და შესაბამისი ნუმერაციის მითითებით ორთოფოტოების მომზადება, რაც უახლოესი პერიოდისთვის წარედგინება საკრებულოს განსახილველად და ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხებისთვის სახელწოდებების მისანიჭებლად.

მიმართავთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების ნორმატივების პროცესში და წინადადებები უსახელო ქუჩებისთვის სახელების შეჩვენებისა და არსებული სახელების შეცვლის თაობაზე წარმოადგინონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

ზვიად ბუჭია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

### ხალხი და ხელისუფლება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელსაც ხელისუფლება სხვა პროექტებთან ერთად ახორციელებს. იგი გულისხმობს სოფლის პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებას, მოსახლეობის მთხოვნათა საფუძველზე და მათ თანაბარყოფას, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც უკვე მერამდენე წელია მიმდინა-

მაგრამ სასურველია, 2011 წელს მაქსიმალურად გავთვალთ თითოეული შემთხვევა, რაც გარკვეულ სისტემაში ჩვენ, ნაკლებადეფექტურად გამოვიყენეთ, რადგან გვქონდა გარკვეული პრეტენზიები ზოგიერთ პროექტთან ან მის შემსრულებელ ინდემწარმესთან დაკავშირებით. არც ის საკითხია დასაძალი, რომ ზოგიერთი მათგანის პასუხისმგებლობის საკითხიც კი დადგა.

კვირდაპირმინდა გითხრათ, სახელმწიფოს ნამდვილად არა აქვს მიმართულება ვინმე დასაჯოს, მაგრამ, კონკრეტული დავალებები დროულად დასტანდა რეგისტრების შესაბამისად უნდა სრულდებოდეს. ამაზე კი გვე-

ვობიექტის ჩაბარებისას ინსპექტორების ჯგუფის მიერ გამკაცრებულ მოთხოვნებზე, ასევე პროექტის ავტორებს თხოვა შეცდომების თავიდანვე აღმოფხვრა. ეკონომიკის სამსახურის მიერ შერჩეულმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს ის პირობები, რომლებიც პროექტის ავტორებმა პასუხისმგებლობა უნდა გაითვალისწინონ, რადგან არცერთი ობიექტი არ იქნება მიღებული, თუ მას არ ექნა ექსპერტის შესაბამისი დასკვნა, პროექტის რეალობასთან დაკავშირებით, რაც ასევე საექსპერტო დასკვნის შედეგთან აკისრებს პასუხისმგებლობას, პროექტების ხარისხთან შესაბამისობაში.

შეხვედრისას, რწმუნებულებისა და ეკონომიკის სამსახურის მიერ, მოსახლეობის აზრის წინასწარ მონიტორინგზე გამახვილდა ყურადღება. ითქვა, რომ პრიორიტეტული საკითხების შერჩევისას, მოსახლეობის კრებებს აუცილებლად უნდა დაესწროს ექსპერტთა ჯგუფებიც, რათა მათ კონსულტაციები გაუწიონ მოსახლეობას, მათთვის გამოყოფილი თანხებით რისი განხორციელება შესაძლებელი.



ქვემო ქვალონი

## „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ – ჩეალობა

რობს, სოფლებში ბევრი პრობლემა მოაგვარა, რომელთაგან აღსანიშნავია – შიდა გზებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მოსადედელებისა და მინი სტადიონების აშენება, სხვადასხვა დაწესებულებების რემონტი. ამ პროცესში, ხელი შეუწყო მოსახლეობისა და გამგეობის უფრო მჭიდრო ურთიერთობებს, ხოლო დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, პროექტების შემქმნელ და განხორციელებელ ინდემწარმეებთან უფრო ეფექტური გახდა მუშაობა.

ლამ ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ. ეს იქნება პროექტებიდან დაწყებული, ინდემწარმის შერჩევით და სამუშაოების ჩაბარებით დამთავრებული“.

გამგებელმა მიუთითა პროექტებზე მომუშავე პირებს: კლარა ბერაიას, გიორგი ჯგერენაიას, ბორის ქირიას და შ.პ.ს „ინვესტ-ჯორჯიას, რომ ისინი აუცილებლად უნდა გადიოდნენ ობიექტებზე სამუშაოთა მიმდინარეობისა და მისი შესრულების შემდგომ, რომ პირადად შეაფასონ თუ რამდენად რეალური იყო პროექტში პრაქტიკული გათვლები, ან რამდენად სწორად მოხდა მათი განხორციელება, რომ ისინი წარმოადგენენ იმ ცოცხალი ჯაჭვის ნაწილს, რომელმაც უნდა გაიზაროს პასუხისმგებლობა.

ინდემწარმეებმა ბესიკ სიჭინავამ, თემურ კაკულიამ, აკაკი ალანამ, მამუკა ცანავამ, კობა გაბისონიამ ისაუბრეს პროექტების ტექნიკურ ხარისხზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი გადაკეთების პრეცედენტზე. მათვე აღნიშნეს ის სამუშაოები, რომლებსაც ისინი მიმდინარე პერიოდში ასრულებენ.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმ პროექტებზე, რომლებიც მიმდინარე წელს ხორციელდება, ხოლო ეკონომიკის სამსახურის უფროსმა იური ბუკიამ ხაზი გაუსვა სახელმწიფოებრივი ღირებულებით შესრულებული სამუშაოების შესრულებისა და ასე-

ასევე მეტი უნდა იმუშაონ გამგეობის რწმუნებულებმა მოსახლეობის აზრის და სოფლის საჭიროების მონიტორინგის ჩასატარებლად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სოფლისთვის გამოყოფილმა თანხამ, ერთი წელიწადის ფარგლებში ბოლომდე ერთი კონკრეტული საკითხი მოაგვაროს.

შეხვედრის ბოლოს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კიდე



საჯიჯაო

ერთხელ მიმართა ინდემწარმეებს, რომ მათი საქმიანობა შეფასებული იქნება არსებული კრიტერიუმებით, რომ ძალზე დიდია მათი პასუხისმგებლობის საკითხი სამუშაოს დროული და ხარისხიანი შესრულების საქმეში. მათ უნდა გაითვალისწინონ დასაქმებულ ადამიანთა პროფესიონალიზმი და მათი სრული ანაზღაურების საკითხი. ასევე, უნდა ავამოქმედოთ წახალისების, ანუ საუკეთესო ინდემწარმის გამოვლენის მექანიზმი, რომელშიც ხელს მოსახლეობის გამოკითხვაც შეგვიწყობს. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ რეალურ შედეგზე გათვლილი რეალური საქმეა – აღნიშნა მან, რომელმაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი.

მანანა შულაია

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შავლელის სოფლის სტატუსი მიენიჭა

„სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლების შექმნისა და სოფელ პატარა ფოთის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 7 ივლისის 1360 ბრძანებულებით, სოფლის სტატუსი მიენიჭა სობის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ფოთის შავლელს უბანს.

### კოლხეთის მიწაზე დაუშინებულ აჭარულ სოფელში ტრადიციულ დღესასწაულად დამკვიდრდება „შავლელეობა“

გასული საუკუნის 90-იან წლებში შუახევისა და ხულოს რაიონებიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები სობის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ფოთის ტერიტორიაზე დასახლდნენ და 20 წლის განმავლობაში შავლელეს უბნის სტატუსით ცხოვრობდნენ. უბანი, რომელიც 14 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს



საკვთობილო გზიდან და 221 კომლითაა დასახლებული, სტატუსის უქონლობის გამო ვერ სარგებლობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი პროგრამით. შავლელეს, როგორც ახალ ტერიტორიულ ერთეულს ესტუმრა მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყეზურაძე, რომელმაც მიულოცა სოფლის მოსახლეობას პრეზიდენტის ბრძანებულებით სოფლის სტატუსის მინიჭება. ისაუბრა პატარა ფოთის ადგილობრივი და შავლელეს უბანში დასახლებული აჭარელი მოსახლეობის თბილ ურთიერთობებზე, ხაზი გაუსვა სამომავლოდ გასათვალისწინებელ სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების საკითხებს, რომელიც სოფლის მოსახლეობასთან ერთად

უნდა დაიგეგმოს, ასევე ისაუბრა კულტურულ-საგანმანათლებლო კერების გაძლიერების პერსპექტივებზე. მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად პირველ სამომავლო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. კოლხურ-აჭარული კულტურის საუკეთესო სინთეზისათვის ერთობლივი ყოველწლიური ფოლკლორული დღესასწაულის მოწყობა, რაც ქართული ფოლკლორის განვითარებას შეუწყობს ხელს და უფრო მეტად დაახლოვებს სობის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს. შეხვედრისას მოსახლეობამ გამოხატა მადლიერება პრეზიდენტის, რეგიონისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და გამოთქვა იმედი, რომ სოფელი თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს.

### „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მიმდინარეობა სოფელ ქვემო ქვალონში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელ ქვემო ქვალონში დამთავრდა სანიღვრე არხების ამოწმება, რომლის სახელმწიფოებრივი ღირებულებამ შეადგინა – 9614, 0 ლარი, არხების ამოწმება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და ასევე შესრულების მონაკვეთის ფარგლებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისათვის მნიშვნელოვანი მელიორაციული დანიშნულებისა და ხელს შეუწყობს დაჭაობების ზონის ნაწილობრივ შემცირებას.

გემოზონჯილის უბანში პროგრამის ფარგლებში შესრულდება ხიდის რეაბილიტაცია, ივეკუას ქუჩასა და ბულიშის უბანში შეკეთდება შიდა გზები, ვაჟა-ფშაველას, ნ. ლუმაბაძის, გ. ქარჩავას ქუჩებზე და ჭითაუშქურის უბანში რეაბილიტებულიქნება წყალსადენი სისტემა.

სამუშაოთა მიმდინარეობა ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტებთან ერთად დაათვალიერა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

### სოფელ ქარიატაში არსებული საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია გაგრძელდება

სოფელ ქარიატაში საცალფეხო ხიდი, რომელიც სოფლის ორ ნაწილს აკავშირებდა და წყალდიდობების შედეგად სერიოზულად დაზიანდა, მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით შეკეთდა. მზიდ ბაგირებზე მოეწყო საკიდები, ასევე დამონტაჟდა დამცავი მავთულბადე, აღდგა დაზიანებული საფალი ნაწილი.

მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, ჩატარებული სამუშაოები ხიდის დროებითი გამაგრებისათვის შესრულებული გადაუდებელი ღონისძიებაა. მიმდინარეობს თანხების მოძიება ხიდის სრული რეაბილიტებისათვის, რათა ძირეულად შეიცვალოს საყრდენი ნაწილები, რაც ხიდის მდგრადობის გარანტიაა.

ახალი სახეები

# „და მაინც... ვისურვებდი, ხვალ ბედნიერი დღე გაგვითენდეს!..“



**ნომრის სტუმარია სობის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ანატოლ სიჭინავა.**

გარე იერ-სახეზე, გარეგნულად განთავსებაზე, გარეგნობაზე, ავტორიტეტის პარკირებაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების და მიწათსარგებლობის დაცვაზე კონტროლის დაწესება.

ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მის საზედამხედველო ობიექტში არქიტექტურულ-სამშენებლო, გარემოს დაცვით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვა და მის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

**როგორ იყო თქვენი პირველი დღე სამსახურში. „ადაფტაციის“ პერიოდმა გაიარა?**

—ამჟამინდელი სამსახურის პირველი დღე მაინც იყო ემოციური მიუხედავად იმისა, რომ ზოგელი ვარ და თითოეულ მათგანთან ნაცნობობა, მეგობრობა მაკავშირებს. მგონი ახალ გარემოსთან შეგვევის შეგრძობა მაინც იყო, მაგრამ გადმოცდილება თავისი ქნა და „ადაფტაციის“ პერიოდმა სწრაფად გაიარა.

**როგორ ურთიერთობა ჩამოვიყალიბებთ თანამშრომლებთან. მკაცრი ხელმძღვანელი ბრძანდებით?**

—ურთიერთობაში ძალიან კაცთმოყვარე, მეგობრული, თავმდაბალი ვარ. ვფიქრობ, არც თანამშრომლებთან ვარ სხვაგვარი. მაგრამ ამავე დროს შეიძლება ითქვას, მკაცრიც ვარ. არ მიყვარს დაკისრებული მოვალეობისადმი ზერელე დამოკიდებულება. საქმეში გულგრილობას ვერც საკუთარ თავს და ვერც სხვას ვპატიობ.

**სად იყო მისი შესრულება უფრო რთული, აქ თუ წინა სამსახურებში?**

—მაქვს სამეურნეო სამსახურში, როგორც რეგულარულად, ისე ხელმძღვანელებს და მოზრდილებს რომ თავს პარკებს აფარებენ, ესეც ეჭვგარეშეა, მაგრამ ქალაქის ბევრ მოსახლეს ის ვერ გაუგია, რომ პირუტყვი სალამოს ქუჩაში კი არ უნდა დაეხეტებოდეს და ამ სილამუხეს ანადგურებდეს, არამედ პირუტყვის სახლში უნდა აბამდეს, ქალაქში სისუფთავეს და სიმწრით გაშენებულ სილამაზეს არ უნდა ანადგურებდეს...

## პირუტყვის სახლის გზა ასწავლით!..

სობი რომ გალამაზდა და მისი ცენტრი დღითიდღე მიმზიდველი ხდება, უდავოა. ქალაქის ცენტრალური ადგილები, რომ ლამაზი ყვავილებითა და მარადმწვანე ხეებითაა გალამაზებული, ესეც თავალში საცემია. ამ ცხელი ზაფხულის დამის საათებში მშობლებს პატარები, რომ სასეინროდ გამოყავთ და ახალგაზ-

დაუდევრობით მდგომარეობა არ სწორდება. მეპატრონეები არც პირუტყვის დაბმას ცდილობენ და არც ჯარიმის გადახდაზე იწუხებენ თავს. აღნიშნულმა სამსახურმა გადაწყვიტა მათი გვარ-სახელები გაზეთში გამოაქვეყნოს, იქნებ ამან მაინც გამოიღოს შედეგი.

დაჯარიმებულთა შორის არიან: მზია მირცხულავა, მურმან გოგია,



**სამომავლო გეგმებზე რას იტყვით, რა განწყობა და სურვილები გაქვთ?**

—სამსახური ახალი შექმნილია. გამოდინარე აქედან, გვაქვს წინააღმდეგობები. რაც ასე მგონია, უახლოეს მომავალში დაიხვეწება. ვფიქრობ, იგი ერთ-ერთი დასაყრდენი სამსახური იქნება სობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში. ვისურვებდი, რომ სობის მუნიციპალიტეტში ყველა საქმე დადებითად გადაწყვედეს, შეიქმნას უკეთესი პირობები ყოფა-ცხოვრებისათვის, რომ ხალხს სწამდეს და სჯეროდეს ზვალინდელი დღის.

ამჯერად, მაინც ჩემი უპირველესი სურვილი ჩემი შვილის ლევანის სასურველ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვაა. ჩემი ქალიშვილების ოჯახებისა და შვილიშვილების კარგად ყოფნა. მინდა მათ და ყველა ქართველს ჰქონდეს ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობა. და მაინც... ვისურვებდი, რომ ხვალ ბედნიერი დღე გაგვითენდეს.

**ესაუბრა ნანა კეშულარია.**

ბონდო კორტავა, ნოდარ ლომია, ზურაბ ჭაჭია, ვიტალ მაიდანკი, რომან ცხადაია, გურამ ლომია, გიორგი ბუსქანძე, კახა არანქია, ბუთხუზ ჩარტია, კოტე ჩხეიძე, ინეზა ჯიქია, გიგლა ჭიჭინაძე, რუბენ კუკავა, ბონდო კორტავა, მზია ჭანტურია, მავლინა ჭითაშვილი, გოგი ახალაია, ელგუჯა კულუა, პაატა ჩოკორაია, გურამ ლატარია, გურამ ლომია. ბევრი მათგანი ორჯერაც კი იქნა დაჯარიმებული.

იქნებ დაფიქრდეთ მოხეტიალე პირუტყვის მეპატრონეებო, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ქალაქს გაფრთხილება და მოვლა სჭირდება!

**P. S. ა ღ 6 ი შ 6 უ ლ ზ ე**  
**ინფორმაცია მოგაწოდდა „სობი დასუფთავება და ბანათება“ სამსახურმა.**

### სიხსნე საფლავთმშენიკატიო კომპანიაში

**ჩვენ დავუკავშირდით სააგციო საზოგადოება „სილქნეტის“ გურია-სამეგრელოს ფილიალის სობის სერვის ცენტრის მენეჯერს თორნიკე ენაბუას და აღნიშნული ცვლილებების შესახებ ჩავიწერეთ:**

მობილურიდან მობილურზე დარეკვისას ვკრებთ 5-ს, შემდეგ მობილური ოპერატორის კოდს, მაგ: 77; 99 და ბოლოს მობილური ნომრის ექვსნიშნა რიცხვს.

მობილურიდან ქალაქის ფიქსირებულ ქსელებზე დარეკვისას ვკრებთ გამსვლელ კოდს 8-იანს, შემდეგ ქალაქის კოდს (მაგ: თბილისისთვის 32), შემდეგ 2-იანს და

ბოლოს ქალაქის ნომერს, მაგ: თბილისში დარეკვისას ვკრებთ 8.32.2 შემდეგ ქალაქის ტელეფონის ნომერს.

ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან მობილურ ტელეფონზე დარეკვისას ვკრებთ გამსვლელ კოდს 8-იანს, შემდეგ მობილური ოპერატორის ინდექსს, მაგალითად: 77, 99 და ბოლოს, - მობილური ტელეფონის ექვსნიშნა რიცხვს.

მაგალითად: 8.5.99.XXXXX... მობილურიდან უკაბელო „მაგთიფიქსზე“ დარეკვისას ვკრებთ გამსვლელ კოდს 8, შემდეგ ციფრ 7-ს, შემდეგ, „მაგთიფიქსის“ კოდს 90-ს, შემდეგ კი „მაგთიფიქსის“ ექვსნიშნა რიცხვს. მაგალითად: 8.7. 90. XXXXX. იგივე ოპერაცია ხორციელდება „სილქნეტისთვისაც“ კოდით—8.7.91, შემდეგ ექვსნიშნა რიცხვი, მაგ: 8.7.91 XXXXX.

უკაბელო „მაგთიფიქსიდან“ უკაბელო „სილქნეტზე“ დარეკვისას იკრებება პირველად

### რეგულარული დაჯარიმებით?

ციფრი 7, შემდეგ 91 და „სილქნეტის“ ექვსნიშნა ნომერი. მაგალითად: 7.91 XXXXX და პირიქით „სილქნეტიდან“ „მაგთიფიქსზე“ დარეკვისას ვკრებთ 7.90 XXXXX.

„მაგთიფიქსიდან“ და „სილქნეტიდან“ ქალაქის ფიქსირებულ ნომრებზე დასარეკად ვკრებთ 8, შემდეგ იმ ქალაქის კოდს, რომელსაც ვუკავშირდებით, შემდეგ 2, შემდეგ ქალაქის ტელეფონის ნომერს.

„მაგთიფიქსიდან“ და „სილქნეტიდან“ მობილურ ოპერა-

ტორებზე დასარეკად ვკრებთ გამსვლელ კოდს 8, შემდეგ 5, შემდეგ მობილური ოპერატორის კოდი. მაგალითად: 99; 77 (8.55 XXXXX).

ქალაქის ტელეფონებიდან (ფიქსირებული) უკაბელო „მაგთიფიქსსა“ და უკაბელო „სილქნეტზე“ დარეკვისას ვკრებთ 8, შემდეგ შესაბამისად იკრებება „მაგთიფიქსის“ (790) და „სილქნეტის“ (791) კოდი, შემდეგ ამ ოპერატორების ექვსნიშნა ნომერი. მაგალითად, „მაგთიფიქსისა“: 8. 790. XXXXX...

იურიდიული კონსულტაცია



შეკითხვებს პასუხობს იულისი ელა შამათავა ტ: 555511174

გვექიბიან, ვასუსობთ

შესაძლებელია თუ არა საშვებულებო თანხის წინასწარ მიღება და როგორ ხდება მისი გამოანგარიშება?

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება საშვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია...

ვარ ორსულად, ვმუშაობ საჯარო დაწესებულებაში რამდენდღიანი დეკრეტული შვებულება მეკუთვნის და კანონით რა სახის დახმარებები გათვალისწინებულია დეკრეტულ შვებულებაზე მყოფი პირისთვის?

მოსამსახურეს/დასაქმებულს ორსულობისა და მშობიარობის გამო უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით 126 კალენდარული დღის, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 140 კალენდარული დღის ოდენობით...

ვარ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი დაწესებულებაში მუშაობისას, როგორ უნდა მოხდეს მისი საზოგადოებრივი უფლებამოსილების დასაქმებულის მდგომარეობის დასაქმებულის შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ...

ვმუშაობ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი დაწესებულებაში, როგორ უნდა მოხდეს მისი საზოგადოებრივი უფლებამოსილების დასაქმებულის მდგომარეობის დასაქმებულის შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ...

სუხისმგებლობის საზოგადოებაში, ნამუშევარი წლები ჩამოთვლება თუ არა შრომით სტაჟში და პენსიის დანიშვნის შემთხვევაში კანონით რა სახის დანამატებია გათვალისწინებული ნამუშევარი წლების მიხედვით?

დაახ, ჩაგეთვლება შრომით სტაჟში. „შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს N181 დადგენილების შესაბამისად...

5 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 2 ლარი. 5-დან 15 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 4 ლარი.

15-დან 25 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 7 ლარი. 25 და მეტი საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 10 ლარი.

ვარ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი დაწესებულებაში მუშაობისას, როგორ უნდა მოხდეს მისი საზოგადოებრივი უფლებამოსილების დასაქმებულის მდგომარეობის დასაქმებულის შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ...

